# ნაწილი 3: კონტრაქტორის კვალიფიკაცია

## შინაარსი

**1 კონტრაქტორის გამოცდილება 1**
1.1 ზოგადი გამოცდილება 1
1.2 სპეციფიური გამოცდილება 1
1.3 პერსონალი 1
1.4 მოწყობილობა 2
**2 წარმოსადგენი დოკუმენტაცია 3**

## ცხრილების სია:

*ცხრილი 1-1: კონტრაქტორის პერსონალი* ........ 2
*ცხრილი 1-2: მოწყობილობის ტიპი და მახასიათებლები, მინიმალური საჭირო რაოდენობა* ....... 2

# 1 კონტრაქტორის გამოცდილება

## 1.1 ზოგადი გამოცდილება

მონაწილეს და მის პერსონალს უნდა ჰქონდეს ბოლო ხუთი (5) წლის განმავლობაში მინიმუმ ორი (2) მსგავსი მოცულობის და სირთულის კონტრაქტის შესრულების წარმატებული გამოცდილება. დემონსტრირებისთვის, მონაწილემ უნდა წარადგინოს საერთო გამოცდილების შესაბამისი ინფორმაცია.

## 1.2 სპეციფიური გამოცდილება

მონაწილეს უნდა ჰქონდეს სათანადო გამოცდილება ჰიდროტექნიკური ნაგებობების მშენებლობის და რეაბილიტაციის სფეროში. მონაწილემ უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია, რომ მას გააჩნია წარმატებული გამოცდილება შემდეგი კონკრეტულ საქმიანობაში:

- ჰიდროტექნიკური ნაგებობების მშენებლობა, წყალსატარი ან მსგავსი, მშენებლობის დროს ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების რეგულირება;
- ტორკრეტირების სამუშაოები ჰიდროტექნიკურ ნაგებობებში;
- საცემენტაციო სამუშაოები გვირაბებში და სხვა ჰიდროტექნიკურ ნაგებობებში;
- მიწისქვეშა რკინაბეტონის სამუშაოების შესრულება, დაზიანებული ბეტონის მოსახვის აღდგენა და რეაბილიტაცია;
- ფილტრაციული წყლების ლიკვიდაცია პოლიურეთანის ფისის ინექციების გამოყენებით.

იმ შემთხვევაში თუ მონაწილე სამუშაოს ნაწილს ან სპეციფიურ სამუშაოს გადასცემს შესასრულებლად ქვე-კონტრატორს, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს მისი კვალიფიკაციის და გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

## 1.3 პერსონალი

მონაწილემ უნდა უზრუნველყოს სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრები შემდეგი პოზიციებისათვის. შემოთავაზებულ კანდიდატებს უნდა ჰქონდეთ სათანადო გამოცდილება ჰიდროტექნიკური ნაგებობების, გვირაბების და მიწისქვეშა ნაგებობების მშენებლობის და რეაბილიტაციის სფეროში. კანდიდატების უნდა ჰქონდეთ პროექტით მოთხოვნილი სამუშაოების ანალოგიური და პარაგრაფში 1.2 აღწერილი სამუშაოების გამოცდილება.

გარდა წამყვანი სპეციალისტებისა, მონაწილემ უნდა წარმოადგინოს ტექნიკური პერსონალი, კერძოდ მხაზველების და ტოპოგრაფების ჯგუფი, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი გამოცდილება საშემსრულებლო დოკუმენტაციის (ნახაზები, სქემები) მომზადებასა და შესრულებული სამუშაოების მოცულობების დადგენაში (აზომვაში), აქვთ შესაბამისი აღჭურვილობა და პროგრამული უზრუნველყოფა.

თითოეული პოზიციისთვის მონაწილემ უნდა წარადგინოს ძირითადი და ალტერნატიული კანდიდატის მონაცემები, ორივე უნდა აკმაყოფილებდეს ქვემოთ მოყვანილ მოთხოვნილებებს:

| No | პოზიცია | მსგავსი სამუშაოების საერთო გამოცდილება (წელი) | მსგავსი სამუშაოების გამოცდილება (წელი) |
|---|---|---|---|
| 1 | პროექტის მენეჯერი | 15 | 10 |
| 1A | პროექტის მენეჯერი (ალტერნატივა) | 15 | 8 |
| 2 | მშენებლობის მენეჯერი | 10 | 5 |
| 2A | მშენებლობის მენეჯერი (ალტერნატივა) | 10 | 5 |
| 3 | უბნის უფროსი | 10 | 5 |
| 3A | უბნის უფროსი | 10 | 5 |
| 4 | ცვლის უფროსი (2) | 10 | 5 |
| 4A | ცვლის უფროსი (2) | 10 | 5 |
| 5 | მხაზველი (2) | 10 | 5 |
| 6 | ტოპოგრაფი (2) | 10 | 5 |

*ცხრილი 1-1: კონტრაქტორის პერსონალი*

## 1.4 მოწყობილობა

მონაწილე უნდა ფლობდეს, ან უზრუნველყოს (იქირაოს, აიღოს იჯარით, შეიძინოს ხელშეკრულებით, მისაწვდომი წარმოების მოწყობილობებით, ან სხვა საშუალებებით) შემდეგი ძირითადი პუნქტების აღჭურვილობა მუშა მდგომარეობაში, და უნდა მოახდინოს მათი დემონსტრირება, ცნობილი ვალდებულებების საფუძველზე, კონტრაქტში მოთხოვნილი სამუშაოების ჩასატარებლად. მონაწილემ აგრეთვე შეიძლება წარადგინოს ახსნასთან ერთად ალტერნატიული საჭირო აღჭურვილობის ჩამონათვალი, კონტრაქტში მოცემული სამუშაოების შესასრულებლად.

| No | დასახელება, პარამეტრი | რაოდენობა |
|---|---|---|
| 1 | საბურღი მექანიზმი | 2 |
| 2 | საცემენტაციო დანადგარი | 2 |
| 3 | ტორკრეტის აპარატი | 2 |
| 4 | ამწე მექანიზმი (Forklift) | 1 |
| 5 | ამწე | 1 |
| 6 | მტვირთავები, S220 ტიპის ბობკატები | 2 |
| 7 | სატვირთო დამპერები | 3 |
| 8 | სპეციალური მოწყობილობა პოლიურეთანის ფისის ინექციებისათვის | 2 |

*ცხრილი 1-2: მოწყობილობის ტიპი და მახასიათებლები, მინიმალური საჭირო რაოდენობა*

## 2 წარმოსადგენი დოკუმენტაცია

ტენდერში მონაწილემ ტენდერში უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- სამშენებლო სამუშაოების შესრულების მეთოდოლოგია
- სამუშაოთა პრიორიტეტულობა და თანმიმდევრობა არსებული სამუშაოთა მოცულობების ფარგლებში
- სამშენებლო სამუშაოების შესრულების გრაფიკი